10 1993

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

ავს თუ ავი არ ვუწოდოთ,
კარგს სახელად რა დავარქვათ?

სატირისა და იუმორის ჟურნალი

136/
1993/2

ნახ. ბ. ზუბაშვილისა






ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ მიდის ვაჭრობა?
— ცუდად, აღარავის აღარ უნდა ნამუსის ქუდი.

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა ბ. პეტრიაშვილისა

# ფარნასალუსტი

**დავკარგე** ტყავის ყავისფერი „დიპლომატი“. მასში მქონდა ორი ათასი დოლარი და ოცდაათი ათასი საბჭოთა მანეთი, აგრეთვე, ძვირფასი იაპონური დიქტოფონი და „ფილიპსის“ ფირმის მცირე ზომის მიმღები მაგნიტოფონი.

მპოვნელს ჯილდოდ გადაეცემა 10 დოლარი და 200 მანეთი.

* * *

**კოოპერატივმა** „ფანტაზიამ“ გაითვალისწინა რა დღევანდელი დაძაბული სიტუაცია, შექმნა და გამოუშვა მოთმინების ფიალების პირველი პარტია.

ახალი მოთმინების ფიალები გაცილებით ტევადია, ვიდრე აქამდე გააჩნდათ ადამიანებს. მოსაწონია მისი დიზაინიც, მხატვრებმა გაითვალისწინეს ქართული ტრადიციული ჭურჭლის ფორმები.

იჩქარეთ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შეიძინეთ ლამაზი, ჰაეროვანი და ტევადი, სუფთა ბროლისაგან ჩამოსხმული მოთმინების ფიალები.

* * *

**თბილისის** კონსერვატორია აცხადებს ახალდაარსებული როკ-მუსიკის ფაკულტეტზე ახალგაზრდების მიღებას. საშუალო სკოლის ატესტატი აუცილებელი არაა. ახალგაზრდები გამოცდებს ჩააბარებენ სცენაზე სირბილში, ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, სალტომორტალეში (მალაყში), როკვაში, ცეკვაში, თავის ქნევაში, გრეხვაში, თვალების გადმოქაჩვაში.

სასურველია, ახალგაზრდას ჰქონდეს ხმა და სმენა. გამოცდები დაიწყება 1 ივნისიდან.

* * *

**ვცვლი** „მადონას“ ტიპის ორ „დიუჟინ“ სასადილო სერვიზს ერთ მფრინავ თეფშზე.

* * *

**ვცვლი** ოროთახიან, ახალგარემონტებულ ბინას (ვაკეში) საბურთალოს პანთეონის ორადგილიან საფლავის მიწაზე.

**გურამ ფანჯიკიძე**

# ცოლი თუ გყავს, უნდა გყავდეს...

კარგა ხანი არ მენახა,
ხმა მომესმა უცებ სროლის...
გამოვფეთქე კარები და
ხელში შემრჩა ჩემი ცოლი.
მოიჯგიმა თბილ ბუშლატით,
ჩექმებით და ავტომატით...
ქალი სახით იყო, თორემ
ისე, ჰგავდა ნამდვილ ბანდიტს.
ბავშვებს უცებ შეეშინდათ
მერე იცნეს დედა მათი,
სიხარულით, მთელი ღამე,
აკაკანეს ავტომატი.
იმ დღის შერე,
ვისთან დადის
ვერაფერი გამიგია,
ალიონზე რომ დაგვტოვებს,
შინ ბრუნდება ღამე გვიან.
ფული თავზე საყრელად გვაქვს,
ნოხ-ავეჯით გავზიზინდით...
ახლა ბავშვებს რას არ ვაჭმევთ,
ადრე ხმელა პურით ვზრდიდით.
დღე ერთია, ათი მოდის
ცოლთან საქმის ჩასაწყობად,
სულ ფიცინი,
რას მიჰქვია
უარის თქმა ან გაწყრომა.
უკვე აღარ მეშინია
არც წასვლისა,
არც მოსვლისა,
მანქანას ვინ დამიკავებს,
რომ ვთქვა, ზურგზეც კი მომისვამს!
ცივ ნიავს არ მაკარებენ,
ალერსში ვარ,
პატივში ვარ,
სამსახური რაღად მინდა,
არც ვმსახურობ, სახლში ვზივარ.
კარგად ვარ და მიხარია,
ან როგორ არ გამიხარდეს...
ცოლი თუ გყავს, ჩემო ძმაო,
ჩემისთანა უნდა გყავდეს!

**რევაზ ლორია**

## შეგონება

იცი რას გეტყვი, ბიძიკო,
რომ წუწუნებ და წუწუნებ,
თივს კი არ ანძრევ, შრომას რომ
სულ ემალები წრუწუნებრ...

პირში არავინ ჩაგიდებს,
რამდენიც უნდა ეშარო,
ყველას თავისი კუჭი აქვს,
შენსაში არ შეგეშველოს...

**გივი ჩხაიძე**

თემა ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა, ბატონო, დავიწყეთ პრივატიზაცია და ერთი თავგაპობილი უკვე მიგვყავს სასაფლაოზე მიწის მისაღებად.

ნახ. მ. აბაშიძისა

როგორ უსარგებლოდ ხედავს
ელობები,
ჩემო საოცნებო — დათვის სუნით
ყარხარ.
შენ ალვა რხეული, ახლა დახეულო
რძთლა შეგაწებო, წებოს ფასიც
არ ხარ!

—:—:—

უნდა გადაგაგდო, მაგრამ გული
არ გთმობს,
გაგიტაცოს ქარმა, — ქარის
მოტანილი.
შენ შეგირცხვეს თავი, თავს რომ
მაწონებდი,
ვერ კი მაყიდვინე კუფხალი
მწვანილი.

ვაი, რით გიშველო, ჩემო იზვალიდო!
ცალი ფეხით კოჭლობ, კუჭის
წყლულიც გტანჯავს,
წნევა დაწეულო, შაქარ აწეულო,
ფართხალებ და ძლივსღა გესინჯება
მაჯა!

—:—:—

უნდა გადაგაგდო, მაგრამ გული
არ გთმობს,
მაინც მებრალები მაგ უშნო იერით.
უნდა გადაგაგდო, უნდა მოგიშორო,
მაგრამ რომ ვერ ვნახე შენი
მაგიერი?!

კახაბერ პავლიაშვილი

# ნაცარი ქუჩა

ორმოცი წელიწადი დაბეჟო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში სევერიანემ. იყო რიგითი მუშაკი, ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, განყოფილების უფროსი და ბოლოს, დირექტორის მოადგილე. სადაც კი იღვაწა, ყველგან თავისი ხელი დაატყო: წამოსწია ჩამორჩენილი უბანი, საამქრო, განყოფილება, „ლომის წილი" ედო მთელი კოლექტივის წარმატებაში. და თუ საგანგებო შტაბი, საკვალიფიკაციო, საატესტაციო, საკოორდინაციო კომისიები შეიქმნებოდა, აუცილებლად მას ჩაუყენებდნენ სათავეში. ახლა სახწრაფო დავალებების შესრულებას არ იკითხავთ? ყველა ზემო და ქვემო ინსტანციაში სევერიანეს შედგენილი მოხსენებითი ბარათები იგზავნებოდა.

ამიტომაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ სევერიანეს, საზეიმო სხდომაზე, თათბირსა და კრებაზე ბომ, როგორც წესი, საპატიო ადგილს უთმობდნენ, ბოლო თუ საძრეწველო ნაწარმი ან სასურსათო პროდუქტები განაწილდებოდა, სიის სათავეში მას მოაქცევდნენ და ურიგოდ თავაზობდნენ იმპორტულ ავეჯს, ავტომანქანას თუ აგარაკს, თუმცა მუდამ მტკიცედ იცავდა დადგენილ წესს და ეს უფლება არასდროს გამოუყენებია ბოროტად. პირიქით, ბევრჯერ ავტომანქანის, ბოლო ერთხელ ბინის მიღების რიგიც კი დათმო.

გადიოდა დრო, იცვლებოდნენ ხელმძღვანელები და სულ უფრო იზრდებოდა სევერიანეს ავტორიტეტი. არაერთხელ დამდგარა მისი დაწინაურების საკითხიც, მაგრამ ვერც კოლექტივი ელეოდა ხოლმე მას და ვერც ხელმძღვანელი.

... ახალი ცხოვრების მოსვლას დიდი იმედით შეხვდნენ სევერიანე და მისი თანამოსაქმენი, მშრომელი ადამიანის დრო დადგა, — ამბობდნენ ისინი. — და უფრო მეტად ერთგულებდნენ მიჩენილ საქმეს. ძველი კოლექტივი კი სულ უფრო ახალგაზრდავდებოდა. დირექტორის ფარულ არჩევნებშიც ყველაზე ახალგაზრდამ გაიმარჯვა, თუმცა ბოროტი ენები ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობდნენ, მაგ ყმაწვილს თავი არაფრით გამოურჩევიაო.

გარეგნულად თითქოსდა ყველაფერი კეთდებოდა, მაგრამ სასიკეთო ძვრები მაინც არ ჩანდა, საწარმო სულ უკან-უკან მიდიოდა. ამ „ტრიუმფალურ" უკუსვლას კი ახალი დირექტორი ძველებურად აბრალებდა და უპირველესად მიზანში თავისი მოადგილე სევერიანე ამოიღო... და ღვაწლმოსილი, ჯან-ღონით სავსე კაცი ორი წლით ადრე პენსიაზე გაისტუმრა.

დამფრთხალი თანამშრომლები ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ, ეშინოდათ, ვაითუ ჩვენი დროც დადგესო. შიში გამარჯვდა. სულ რამდენიმე დღეში დირექტორმა 87 თანამშრომელი დაითხოვა, ხოლო შემდეგ მთელი შტატი გაანახევრა. ერთ დროს სახელგანთქმულ საწარმოში დიდი ცოდვა დატრიალდა. შემცირებულები დაიბნენ, ვერაფერი იღონეს, არ იცოდნენ ბრძოლის რომელი გზა აერჩიათ...

და მაინც, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა მოინახა. გაერთიანებაში დირექტორის საანგარიშო-საარჩევნო კრება ვადამდე ჩატარდა. ახლა ძნელია იმის ფართოდ გადმოცემა, რაც იქ ითქვა, მაგრამ ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა: ახალგაზრდა დირექტორს მოკლე დროში თავის გარშემო ძმაკაცები, უსაქმურები, სახელგატეხილი ადამიანები შემოუკრებია, ყოველგვარი კონტროლი დაუკარგავს და ფინანსები თავის გემოზე გაუნაოვებია, რომელთა გარკვევა ხალხმა საგამომძიებლო ორგანოებს მიანდო, ხოლო უღირს ხელმძღვანელს არჩევნებში უნდობლობა გამოუცხადა.

ეს ამბავი პირველად სევერიანეს ჩაუკაკლეს უოფილმა თანამშრომლებმა.

სევერიანემ მახარობლები თავისი პენსიის შესატყვისი სახელდახელო ხუფრით გაისტუმრა, მაგრამ სამსახურში დაბრუნებაზე ცივი უარი თქვა.

ფარსადან თოფურია

— პლომბი გაგიკეთეთ, ორი საათი არაფერი ჭამოთ!
— ორი საათი კი არა, ორი დღეა არაფერი მიჭამია!

ნახ. ვ. კუცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ბიჭო, დათო, ბაზარში იყავი?
— ვიყავი, შენი ჭირიმე, მაგრამა სუკები, გოჭები, ქათ-
მები და ინდაურები კუპონზე არაო!

ნახ. გ. პეტრიაშვილისა

## „სულ ასე არ იქნება" ანუ შეგონებანი

დრო დაგვიდგა შემაზრზენი,
— მაგრად უნდა იშრომო,
რომ ახანთის შესაძენი
ფული მაინც იშოვო!
ამ ფასების გადამკიდე
ხალხი უფრო იმშევა,
ეშინოდეს გადამყიდველს,
მასთან აწი ვინ შევა!
თუ ვერაფერს ვერ ვშოულობთ,
რაც გვაქვს, მას ნუ დავაბნევთ,
ჯერ თუ სწორ გზას ვერ ვპოულობთ,
მხოლოდ შრომით გავაგნებთ.
ეს ცხოვრება გარდიქმნება
თუ ყოჩაღად ვიქნებით,
სულ ხომ ასე არ იქნება,
თავს ნუ ვიკლავთ ფიქრებით.
ვინ მოგვართმევს სახლში ნამცხვარს
კრემითა და ქიშმიშით?
ვერ ვიხილავთ შიმშილს დამცხრალს
უთავბოლო ვიშვიშით.
ნუ ვამრავლებთ სევდის ფიქრებს
ჯავრითა და განცდებით,
თუ დავიკრეფთ გულზე ხელებს,
უეჭველად გავწყდებით!
იყო დრო, რომ ჩვენს წინაპრებს
უფრო მეტად უჭირდათ,
არ აქრობდნენ ქვეყნის ლამპრებს,
ხმალი უფრო უჭრიდათ.
იმედია ჩვენი ფარი,
ჩვენი ხმალი — სიმარჯვე,
დავუმშვენოთ გარჯას მხარი
და მალე გავიმარჯვებთ

ბუბა ქერშაველი

# მესამე ღილი

კარის მეზობელმა პატივცემულმა რეზომ ჩემი პერანგის მესამე ღილს (ზედ გულის კოვზზე რომ მაკერია) ორი თითი მოჰკიდა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, თავისკენ მიმიზიდა და უაღრესად კონფიდენციალური ტონით წამჩურჩულა:

— გურამს ვენაცვალე, შენზე კარგი ვინ მყავს მე? კარგიც შენ უნდა გაიგო პირველმა და ავიც... ხომ იცი, „ცუდი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო“... ჰოდა, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, შენ ისედაც მიმიხვდები ყველაფერს... მოკლედ, ერთი კარგი რესტორანი უნდა გავხსნა!

— ოჰ, მაგას რა სჯობს, ბატონო რეზო, — გამეღიმა მე, — კეთილი და პატიოსანი!.. ინდივიდუალური საქმიანობის...

— მოიცა, არ გვინდა ახლა ჩვენ ლოზუნგები! შენზე კარგსა და პატიოსან კაცს მე ვერ ვნახავ, ხომ იცი, მართო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო! ერთად უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი.

ბატონი რეზო დამსახურებული ინჟინერია და კარგი სპეციალისტიცაა.

— სიამოვნებით, ბატონო რეზო, მაგრამ მე, ხომ იცი, ინსტიტუტში ვმუშაობ, დღედღეზე დისერტაციას ვიცავ...

— კაცო, დღე-დღეზე სამშობიაროში დასაწოლი ხომ არ ხარ! დისერტაციას ადარებ შენ რესტორანს?! მე შენ უფრო დაკვირვებული კაცი მეგონე...

იმედგაცრუებული და ცხვირაბზუებული მეზობელი ცივად გამეცალა.

ავტობუსში ჩავჯექი და ჩემი სკოლის მეგობარი მომიჯდა გვერდით. ერთ-ერთი დიდი ბიბლიოთეკის დირექტორია. სკოლიდანვე გიჟდებოდა წიგნებისათვის.

— ჩემო გურამ! — იმანაც ჩემი ხალათის მესამე ღილის წვალებით დაიწყო. — არ გაგეცინოს და ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო... თუ შენ მხარს ამიბამ, შენზე კარგ პარტნიორს მე ვერ ვიშოვი...

— მოკლედ, გურამ ჩემო! — გამობრძმედილი ბიზნესმენის ტონით განაგრძო სკოლის მეგობარმა. — კაფე-რესტორანი უნდა გავხსნათ, ყველაფერი მოვიფიქრე, ავწონდავწონე...

შემდეგ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩავედი.

— გურამს გაუმარჯოს! — მხარზე ხელი დამკრა ვიღაცამ. წინ ბიძაშვილი ამეტუზა. — კიდევ კარგი, დაგიჭირე, თორემ შენთან მოვდიოდი, — მესამე ღილში მწვდა იგი.

— სამსახურში არ მიდიხარ? — თავის დაღწევა ვცადე მე, მაგრამ ბიძაშვილს მაგრად ვეჭირე ღილით. იგი სპეციალობით რესტავრატორია. ყოველთვის შევნატროდი მის კეთილშობილ პროფესიას.

— შენ მე მომისმინე კარგად. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ნაციონალური კერძების რესტორან-პავილიონი გავხსნათ. მივიწყებული ან დამახინჯებული ქართული კერძის რესტავრაცია უნდა მოვახდინოთ. შენ წიგნების ქექვა გიყვარს და აქ მჭირდება შენი დახმარება. მე და შენ მთებს გადავაბრუნებთ ერთად...

— ინსტიტუტში მაგვიანდება, ინსტიტუტში! — შევყვირე და მესამე ღილი თითებში შევატოვე გაოცებულ ბიძაშვილს.

— ბოდიში, ბატონო სავლე!.. ხომ იცით ჩვენი ტრანსპორტის ამბავი, ცოტა დამაგვიანდა... — მოვუბოდიშე ინსტიტუტის შესასვლელში მდგარ ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელს.

— ეგ არაფერი. ჩემო გურამ! დღეს შენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მენახე... ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო... შენ გონებაგახსნილი ყმაწვილი კაცი ხარ, მე ცხოვრებით გამობრძმედილი... — ბატონმა სავლემ ჩემი გულისპირისაკენ წამოიღო ხელი, მაგრამ მესამე ღილი იქ რომ არ დახვდა, ისევ უკან წაიღო. — ჰოდა, ჩვენ შეერთებული ძალით, სადაც მთავარია პოტენციური შესაძლებლობების რაციონალური გამოყენება... ერთი კარგი, საუცხოო რესტორანი გავხსნათ!

— ბატონო სავლე! — ამოვილუღლუღე მე, — მოდი, საქართველოში ერთი დიდი რესტორანი გავხსნათ... მაინც ასეთი შეხედულება აქვთ ჩვენზე და გულს ნუ დავწყვეტთ ხალხს...

— ე, ხომ ვთქვი, შენ დიდი გაქანების კაცი ხარ, მაგას რა სჯობს! მთავარია მასშტაბი და ნაციონალური კოლორიტი! გვიყურონ მერე! — წამოიძახა აღტაცებულმა ბატონმა სავლემ და სიამოვნებისაგან ისე მაგრად გაუსვგამოუსვა ხელები ერთმანეთს, რომ ლამის ხელისგულებზე ტყავი გადაიძრო.

ზ. ყორღანაშვილი

ჟურნალი ნიანგი
№ 10 (1884) გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი
ბეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჰაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, რევაზ მიშველაძე, გივი პეტრიაშვილი, ალექსანდრე სამსონია, მიხეილ ქვლივიძე, ლერი ჩანტლაძე, ჯაბხუბ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალექსი ჰინჩარაული.

ტექნიკური რედაქტორი
გიორგი დუნდუა.

გადაეცა ასაწყობად 28. 06. 93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 07. 93 წ., ქაღალდის ზომა $60\times90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. № 1000. ტირაჟი 21 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54; მთავარი რედაქტორის მოადგილის — გენერალური დირექტორის — 93-19-42; მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38; განყოფილებათა გამგეების — 93-10-78, 93-49-32; მდივან-მემანქანის — 99-76-69.
ინდექსი 76137

ფასი 100 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

Ճ 267/60

ნახ. ჯ. ლოლუასი



პარლამენტის სხდომის წინ